დედოფლისწყარო

# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.796)

9 - 16 სექტემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## კახეთში გზების მშენებლობაზე მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯება



გვ.3

## კახეთში 6,6 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული

გვ.5



## „ირმა“ – მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ძლიერი ქარიშხალი

გვ.7

## მერობის კანდიდატები წარადგინეს

გვ.3




## კახეთში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები მეშვიდე დღეა მიმდინარეობს

გვ.2



## ქალს შეუძლია მომავლის შეცვლაც...

გვ.4-5

## უწყლობის მითი დაიმსხვრა?!



გვ.8

C M Y K

## ირაკლი მექვაბიშვილი - აუდიტის სამსახური გახდება უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი, უფრო გამჭვირვალე და დამოუკიდებელი

აუდიტის სამსახური გახდება უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი, უფრო გამჭვირვალე და დამოუკიდებელი, - ამის შესახებ გენერალური აუდიტორის პოსტზე წარდგენილმა ირაკლი მექვაბიშვილმა განაცხადა.

მან მადლობა გადაუხადა პარლამენტის თავმჯდომარეს აღნიშნულ თანამდებობაზე წარდგენისთვის.

„იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი გამომიცხადებს ნდობას, როგორც გენერალური აუდიტორი ვიზრუნებ აუდიტის სამსახურის შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებაზე. ის თითქმის 25-წლიანი გამოცდილება, რაც შეძენილი მაქვს საბანკო-საფინანსო სექტორში მოღვაწეობის დროს, მოხმარდება აუდიტის სამსახურის თვისობრივად ახალ დონეზე გადასვლას. სამსახური გახდება უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი, უფრო გამჭვირვალე და დამოუკიდებელი. ჩვენ ყველანი გავერთიანდებით იმ ღირებულებების ირგვლივ, რომელიც არის ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, პროფესიონალიზმი და საჯაროობა“, - განაცხადა მექვაბიშვილმა.

## ავღანეთში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცს მესამე ოპერაცია ჩაუტარდა

ბაგრამის საავიაციო ბაზაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაჭრილ უფროს ლეიტენანტ ივერი ბუაძეს ბაგრამის კლინიკაში მესამე ოპერაცია ჩაუტარდა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თუმცა დაჭრილის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. მას დაზიანებები თავისა და ბარძაყის არეში აღენიშნება. იგი მკურნალობას რეანიმაციაში გადის.

"ამჟამად მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები და დაჭრილის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, მას კიდევ ორ, მსუბუქად დაჭრილ ქართველ სამხედროსთან ერთად, გერმანიაში გადაიყვანენ", - აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, შედარებით მსუბუქად არიან დაჭრილი სერჟანტი გიორგი წიქარიშვილი და პირველი კლასის რიგითი ირაკლი კუჭუხიძე. სამივე ქართველი სამხედრო მკურნალობას გერმანიაში, ლანშტულის ამერიკულ ჰოსპიტალში გააგრძელებენ.

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე თავდასხმა 6 სექტემბერს თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა. შედეგად, "მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

„ინტერპრესნიუსი“

## კახეთში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები მეშვიდე დღეა მიმდინარეობს

კახეთში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები მეშვიდე დღეა მიმდინარეობს. ერთი ქართული ვერტმფრენი 8 სექტემბერს, დილის 07:00 საათზე ხანძრის პერიმეტრის დასაზვერად უკვე გაფრინდა. რამდენიმე საათში მუშაობას ორი ირანული ვერტმფრენიც შეუდგება.

7 სექტემბერს, ძლიერი ქარის შედეგად, ართანაში ლოკალიზებული ცეცხლის ცალკეული კერები კვლავ განახლდა და დაკვამლიანებაც გაზარდა, თუმცა როგორც საგანგებო შტაბში აცხადებენ,ხანძრის მასშტაბი არ გაზრდილა. ადგილზე კვლავ რჩებიან მაშველები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები.

## ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა

საქართველოს 2017 წლის აგვისტოში 1,080,449 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 232,068-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +27.4%)-ია. აგვისტოს თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 573,368 შეადგინა, რაც 122,721-ით მეტია 2016 წლის აგვისტოს მაჩვენებელზე (ზრდა +27.2%).

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საერთაშორისო მოგზაურთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ზაფხულის სეზონზე. ივნისი-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს 2,729,429 საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა, რაც 597,527-ით მეტია გასული წლის ზაფხულის სეზონთან შედარებით. (ზრდა +28%) რაც შეეხება იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვს, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს ზაფხულის სეზონზე 1,421,031 შეადგინა, რაც 350,168-ით მეტია გასული წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდთან შედარებით (ზრდა +32.7%)

2017 წლის იანვარ - აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს 5,059,106 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 804,263-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +18.9%)-ია.

იანვარ - აგვისტოს მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 2,402,699 შეადგინა, რაც 546,537-ით მეტია 2016 წლის იანვარ - აგვისტოს მაჩვენებელზე (ზრდა +29.4%).

2017 წლის იანვარ - აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან (+10.4%), სომხეთიდან (+16.8%), რუსეთიდან (+33.9%), თურქეთიდან (-6,6%) და ირანიდან (+141.9%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ - აგვისტო გამოირჩეოდნენ: ნიდერლანდები +38%, გერმანია +32%, გაერთიანებული სამეფო +31% და საფრანგეთი +29%.

განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: საუდის არაბეთი +196%, ქუვეითი +178%, ირანი +142% და ინდოეთი +99%.

მონაცემები ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.

## უახლოეს დღეებში, ქართულ მხარეს ოშკის ტაძრის სამუშაო პროექტი გადმოეცემა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე თურქეთის მხარესთან მოლაპარაკებების შესახებ პირველ არხს ესაუბრა. ანკარაში კულტურის მინისტრის და ქართული დელეგაციის ვიზიტს ნიკოლოზ ანთიძე დადებითად აფასებს. მისი განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა თურქეთში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების რეაბილიტაციის პროცესებს. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ მიიღო პირობა, რომ ამ პროექტებში უშუალოდ იქნება ჩართული.

„სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმება მაისში დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მიღწეულია. შესაბამისად, უახლოეს 15 დღეში შეჯერებული იქნება სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა. პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მივიღეთ დაპირება, რომ ამ სამუშაო ჯგუფის შექმნის შემდგომ გადმოგვეცემა ოშკის პროექტი გასაცნობად და ჩვენი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება. ასევე, მოხდება იმ პრიორიტეტული ძეგლების შერჩევა, სადაც დავუშვათ პროექტი ჯერ არ არის მზად, მაგრამ მისი მომზადება უნდა დაიწყოს. სადაც სამუშაოები მიმდინარეობს, მაგალითად პარხალში, მისი პროექტიც გადმოგვეცემა. რაც შეეხება იშხანს, სამუშაოები აქ ბოლომდე არ არის დასრულებული. ახლა მზადდება არქეოლოგიური სამუშაოების პროექტი, რომელსაც ასევე, გავეცნობით. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან შედეგიანი იყო ეს შეხვედრა“ - აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი პირველ არხთან საუბრისას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს დელეგაცია თურქეთში 7 სექტემბერს გაემგზავრა. სამუშაო ვიზიტი ხვალ, 9 სექტემბერს დასრულდება. დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და ქართველი სპეციალისტები არიან.

ვიზიტის ფარგლებში, ანკარაში მიხეილ გიორგაძე კოლეგას, თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს ნუმან ქურთულმუშს შეხვდა.

შეთანხმება თურქეთსა და საქართველოს შორის 2017 - 2021 წლებში კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მიმდინარე წლის 23 მაისს გაფორმდა.

# სერ სუმა ჩაკრაბარტი – საქართველო ახლა იმ ქვეყნების კალათაშია, რომლებიც ქმნიან თანამედროვე, დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებს

საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის თანამშრომლობა მტკიცეა. ჩვენ საქართველოში მნიშვნელოვან ინვესტიციას ვახორციელებთ. შარშან ინვესტიციების მოცულობა რეკორდული იყო და მან 250 მილიონი ევრო შეადგინა, წელს ჩვენ ამ რეკორდის მოხსნას ვგეგმავთ. ჩვენი ვარაუდით, ინვესტიციების მოცულობა 350 მილიონი ან მეტი იქნება, - განაცხადა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სერ სუმა ჩაკრაბარტიმ ფინანსთა სამინისტროში შეხვედრის შემდეგ, რომლის დროსაც მან პირველ ვიცე-პრემიერ, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან და ენერგეტიკის მინისტრ ილია ელოშვილთან საქართველოში ბანკის საქმიანობა და მიმდინარე და სამომავლო პროექტები განიხილა.

EBRD-ის პრეზიდენტმა რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება. მათ შორის, აქცენტები გაკეთდა ენერგეტიკასა და ჰიდროენერგეტიკის პროექტებზე, აგრეთვე მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებაზე, მათ შორის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებზე თბილისსა და ბათუმში, რომლებიც ხელს შეუწყობენ მუნიციპალური სერვისების განვითარებას.

სერ სუმა ჩაკრაბარტის განცხადებით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის განვითარება. მისი თქმით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) ხელს შეუწყობს საქართველოს კერძო სექტორის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

**- პირველი შეკითხვა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას შეეხება. თქვენ განაცხადეთ, რომ არსებულ პროგნოზთან შედარებით უფრო მაღალ მაჩვენებელს ელოდებით. რას ეფუძნება ეს ოპტიმიზმი და თქვენი აზრით, რა ფაქტორები განაპირობებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას საქართველოში?**

- საქართველოსთვის და სხვა ქვეყნებისთვის პროგნოზი ჩვენ რამდენიმე თვის წინ გავაკეთეთ. ამის შემდეგ ვნახეთ, თუ რა მოხდა ეკონომიკაში რეალურად. საქართველოში ეკონომიკა 4 პროცენტზე მეტად იზრდება, ეს ჩვენს პროგნოზზე მეტია და ძალიან კარგი ამბავია. მომავალი წლისთვის ჩვენი პროგნოზი 4.2%-ს შეადგენდა. სავარაუდოდ, საქართველო უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება. პოზიტიურია ვითარებაა იმ ქვეყნებშიც, რომლებთან საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებს ვგულისხმობ. საქართველოზე დადებით გავლენას ახდენს რეფორმების პროცესის გაგრძელდება. ეს ინვესტორებს უფრო მეტ ნდობას აძლევს. რაც შეეხება ახალ პროგნოზს, ის თქვენთვის ნოემბრის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი.

**- მინდა გკითხოთ ენერგეტიკულ პროექტებზე, რომელთა დაფინანსებაში ევრობანკი მონაწილეობს. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მათ ეწინააღმდეგება და ფიქრობს, რომ ჰესების მშენებლობა გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობს. რას უპასუხებთ მათ?**

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მსგავს პროექტებს მხარს უჭერს. EBRD უმაღლესი სტანდარტებით ხელმძღვანელობს გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით.

*(გაგრძელება გვ.3)*

# მერობის კანდიდატები წარადგინეს

პრემიერ-მინისტრმა, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა მერობის კანდიდატები კახეთის რეგიონში წარადგინა. შეხვედრა ქალაქ თელავში გაიმართა.

დედოფლისწყაროში მერობის კანდიდატი ნიკოლოზ ჯანიაშვილი იქნება; საგარეჯოში - გიორგი ერბოწონაშვილი; გურჯაანში - არჩილ ხანდამაშვილი; ახმეტაში - იოსებ ქარუმაშვილი; ლაგოდეხში - ჯონდო მდივნიშვილი; ყვარელში - როსტომ სესიაშვილი; სიღნაღში - გიორგი გოგილაშვილი; ხოლო თელავში - შოთა ნარეკლიშვილი.

მთავრობის მეთაურმა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატებს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. "დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ შევიკრიბეთ, რათა დაწყებული საქმე გავაგრძელოთ და საბოლოო შედეგამდე მივიყვანოთ. ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვამართებს გაერთიანება, ერთად დგომა იმისათვის, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ. კახეთზე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს მართლაც მასშტაბური მიღწევები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. მინდა, წარმოგიდგინოთ კანდიდატები, რომლებიც „ქართული ოცნებიდან“ იყრიან კენჭს. ისინი გამოირჩევიან პროფესიონალიზმით, გამოცდილებით, კარგი რეპუტაციით, გულისხმიერებით და უნარით, მოაგვარონ ადამიანების პრობლემები. ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ ერთხელ გავაერთიანებთ ჩვენს ხმებს და დავუჭერთ მხარს იმ ზნეობრივ არჩევანს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა 2012 წელს“.

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, რეგიონული შეხვედრები და მერობის კანდიდატების წარდგენა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. შეხვედრები საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში გაიმართება.




# კახეთში გზების მშენებლობაზე მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯება

2017—2020 წლებში კახეთში გზების მშენებლობაზე მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯება და რეგიონს ევროპული სტანდარტების გზები ექნება, — ამის შესახებ პრემიერ—მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, 15 კილომეტრიანი გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის მშენებლობა უკვე დაიწყო და მის დასრულებას მთავრობა მომავალი წლის ზაფხულში ვარაუდობს.

„გარდა ამისა დაგეგმილია თბილისი-ბაკურციხის 87-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მოდერნიზება, რომელიც 2018 წლისათვის დაიწყება და ორ წელიწადში დამთავრდება; ასევე - წნორი-ლაგოდეხის მონაკვეთის 40-კილომეტრიანი საავტომობილო გზის მოდერნიზება. 2018 წლიდან დაგეგმილია ბაკურციხე-წნორის 16-კილომეტრიანი გზის მშენებლობა, რომელიც 2020 წელს დასრულდება და ამას გარდა, 36-კილომეტრიანი გზა გურჯაანი-თელავის შემოვლითი მონაკვეთის, რომელიც 121 მილიონი დოლარი დაჯდება. ასეთი მასშტაბი ჩვენს ბიუჯეტში ჯერჯერობით არ ყოფილა“, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, კახეთში გზების მშენებლობის გარდა დაგეგმილია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც.

„2018 წლიდან დაიწყება და 2020 წლისთვის დამთავრდება თელავის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია. ასევე, ჩვენ გვაქვს ძალიან ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც ეხება საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოების რეაბილიტაციას, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი მოსახლეობისთვის. ყველა რაიონში დაგეგმილია სპორტული კომპლექსების მშენებლობა და ჩვენ გვინდა, ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელი ცხოვრების წესს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კულტურის განვითარებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებული რესურსი დაიხარჯება, რათა თითოეულ რეგიონში ახალგაზრდებს ჰქონდეთ ადგილი, სადაც ისინი მივლენ, ნახავენ ახალ სპექტაკლებს, კინოხელოვნების ახალ ნიმუშებს და არ იქნება საჭიროება იმისა, რომ ამისთვის აუცილებლად დედაქალაქში იყოს წასასვლელი. ადგილობრივი კულტურის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, როგორც ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნირების კუთხით, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# სერ სუმა ჩაკრაბარტი – საქართველო ახლა იმ ქვეყნების კალათაშია, რომლებიც ქმნიან თანამედროვე, დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებს

(მეორე გვერდიდან)

ისევე როგორც ამას ითვალისწინებენ სხვა ორგანიზაციები, რომლებთანაც საქართველოს მთავრობა მუშაობს. ყველა ჩვენი პროექტზე, მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებზე, ყოველთვის ვაკეთებთ კვლევებს, თუ როგორი გავლენა იქნება გარემოზე, საზოგადოებაზე და ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, მე ვიტყოდი, რომ მათი უმრავლესობა, მხარს გვიჭერს. თუ შევხედავთ შუახევიჰესის პროექტს, ნენსკრაჰესის პროექტს, რომელზეც მიმდინარეობს მუშაობა, მათი ანალიზი არა მხოლოდ EBRD-ს, არამედ სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარდა. დასკვნაა, რომ ეს ძალიან კარგი პროექტებია და არა დამანგრეველი, როგორც ამის წარმოჩენა არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე ნაწილს სურს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტებს მოაქვს დიდი ეკონომიკური სარგებელი, ასევე სარგებელი გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით.

**- როდის არის მოსალოდნელი „ნენსკრაჰესის“ დაფინანსებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაახლოებით რა თანხის გამოყოფას გეგმავს ევრობანკი?**

- ეს იქნება საკმაოდ დიდი თანხა, დაახლოებით 150 მილიონი ევრო. ვფიქრობ, რომ პროექტს ჩვენი ბორდი წლის ბოლოსთვის განიხილავს. სავარაუდოდ, ნოემბრის მეორე ნახევრიდან წლის ბოლომდე პერიოდში.

**- საქართველოს მთავრობა გეგმავს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გაზრდას. როგორი იქნება EBRD-ს როლი ამ პროცესში? თუ შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული ახალი პროექტები, რომელთა დაფინანსებასაც გეგმავთ? მაგალითად, იქნება თუ არა მათ შორის გაზსაცავი?**

- ჩვენ, ძირითადად, კერძო სექტორთან ვთანამშრომლობთ და ამიტომ არ ვასახელებთ ხოლმე პროექტებს, რომელთა მიმართაც ინტერესი გვაქვს. ეს დაკავშირებულია კომერციულ და კონფიდენციალურ საკითხებთან. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ენერგეტიკის სექტორში ჩვენ ნამდვილად ვგეგმავთ ახალი პროექტების დაფინანსებას. სავარაუდოდ, როგორც ჰესების, ისე ალტერნატიული ენერგიის მიმართულებით. ძალიან ამაყი ვარ, რომ ქარის პირველი ელექტროსადგური სამხრეთ კავკასიაში, სწორედ, საქართველოში, გორში აშენდა და ეს სამაგალითო პროექტია. ვფიქრობ, ამ კუთხით მეტის გაკეთება შეგვიძლია. თბილისის გარეთ ინფრასტრუქტურის ხარისხთან დაკავშირებით მოსახლეობაშიც არის წუხილი. თუ გვინდა საქართველოში მოვიზიდოთ მეტი ტურისტი, დავაკავშიროთ ერთმანეთთან რეგიონული ჰაბები და მათგან დაშორებული დასახლებული პუნქტები, ინფრასტრუქტურას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება. ასევე, თუ საქართველო გახდება უფრო მეტად ორიენტირებული ექსპორტზე, უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა შავ ზღვაზე, ვგულისხმობ პორტებსაც.




**თქვენ მესამედ ხართ საქართველოში. პირველ რიგში, რასთან არის დაკავშირებული თქვენთვის ეს ქვეყანა?**

- ჩემთვის საქართველო საუკეთესო მაგალითია ქვეყნის, რომელშიც EBRD ინვესტიციას დებს. თუ ევრობანკის ისტორიას გადავხედავთ, 90-იან წლებსა 2000 წლის დასაწყისში წარმატების მაგალითებად სახელდებოდნენ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი , ბალტიის სახელმწიფოები. მათ მიაღწიეს განვითარების კარგ დონეს. ვფიქრობ, ევროკავშირის წევრობაც მათი განვითარებისთვის კარგი სტიმული იყო. საქართველო ახლა იგივე გზაზეა. საქართველო ახლა იმ ქვეყნების კალათაშია, რომლებიც ქმნიან თანამედროვე, დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებს. ამიტომაც ვთანამშრომლობთ ასე საქართველოსთან. შარშან მიაღწიეთ დაფინანსების რეკორდულ მაჩვენებელს, 250 მილიონ ევროს. წელს, სავარაუდოდ, 350 მილიონ ევრომდე ავალთ. ამასთან, სულ სხვა შთაბეჭდილება, როდესაც ეხედები მეწარმეებს აქ, ადგილზე. ვხედავ ძალიან მაღალ პოტენციალს და შესაძლებლობას, რომ საქართველო უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკაში.

**- ბოლო წლებში საქართველომ გადაიტანა ლარის გაუფასურების შოკი. ახლა ვითარება მეტნაკლებად სტაბილურია. ხედავთ თუ არა დამატებით რისკებს რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკაში არსებული ვითარების გათვალისწინებით?**

- საქართველოზე გავლენას ახდენს, მაგალითად, მეზობელ ქვეყნებში არსებული ვითარება. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული ბანკისა და მთავრობის ერთობლივი პოლიტიკა საკმაოდ ეფექტური იყო. ეს იყო კარგი მაგალითი, თუ როგორ უნდა გაუმკლავდე მსგავს რისკებს. მინდა ვთქვა, რომ დღეს საქართველო უკვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირის ეკონომიკასთან. ეს კარგია EBRD-სთვისაც. ჩვენ ვეხმარებით ქართულ კომპანიებს, რათა მათ მალე მიაღწიონ ევროპულ სტანდარტებს და გავიდნენ ევროპულ ბაზარზე.

**- თუმცა, ბოლო წლებში, თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების მიუხედავად, ექსპორტი ევროკავშირში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ელოდებით ამ კუთხით ცვლილებას უახლოეს პერიოდში?**

- თავისუფალი სავაჭრო სივრცე ეხმარება არაერთ ბიზნესმენს. ამის მაგალითია „მოდის სახლი მატერია“, რომელსაც მე თბილისში ვესტუმრე. საინტერესოა, რომ ქართული კომპანიები მალე აღწევენ ევროპულ სტანდარტებს და ამ კუთხით დიდია პერსპექტივა. თუმცა, საჭიროა დროც. ვფიქრობ, რომ მცირე და საშუალო კომპანიები განვითარდებიან და დაახლოებით 10-წლიან პერიოდში, ვფიქრობ, რომ მსგავსი კომპანიების მიერ ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვანი იქნება.

# სკოლა-ნაკრძალების მნიშვნელობა საქართველოში

თვალსაჩინოებისა და გონებასაჩინოებისათვის შორიდან უნდა დავიწყო.

ქართული პოლიფონია მსოფლიო მუსიკალურ საგანძურში ერთ-ერთ მარგალიტად არის შესული. რატომ? მასში სულიერი გონების უზარმაზარი მასშტაბების გამო, ადამიანურ გრძნობათა განსაკუთრებული სიღრმეების გამო.ხელოვნების ნიმუში იმ სიმაღლიდან, თუ იმ სიდაბლიდან იქმნება, სადაც სახლობს შემოქმედის (ადამიანის) პიროვნული მე. შემოქმედებით ნიმუშში ისევე ჩაიდება სულიერი, ადამიანური, ცხოველური ნაკადები, როგორც თვითონ ამ ნიმუშის შემქმნელ ადამიანში დევს. ამიტომ ხელოვნების ნიმუში მისი მსმენელის, თუ მნახველის შინაგან მდგომარეობას ისევე დაალაგებს, როგორადაც თვითონ არის დალაგებული. ანუ, ის ან აშენებს ადამიანის შინაგანს (სულს-სამშვინელს), ან ანგრევს ადამიანის შინაგანს( იგნორირებს სულს, შლის ადამიანურ ინტელექტს, პიროვნული მე ჩაყავს სხეულებრივ-ხორციელში.) ამას ადამიანები უმეტესწილად ვერ გრძნობენ, ისევე როგორც კონსერვანტებით გაჯერებული პროდუქციის ღირებულება-არ ღირებულობას. თუმცა, ეს მხოლოდ ხორცს ვნებს, ის კი, სულს და სამშვინველს.

90-იანი წლების შემდეგ საქართველოში შევნიშნე უცნაური ფოლკლორი. (დიდ ბოსტანში ერთი-ორი სარეველა რომ შენიშნო, შეიძლება არ გაისარჯო, მაგრამ...) შემდეგ სამარშრუტო ტაქსის , , შოფრებმა" მოიხვავეს ასეთი ფოლკლორი. ისეთი საზარელი ნიმუშებიც გამოჩნდა, რომელმაც ჩემში (და არა მარტო ჩემში) ფსიქოლოგიური შოკი გამოიწვია. თბილისში წასვლილას მძღოლს ვირჩევდი მისი რეპერტუარის მიხედვით, ვირჩევდი ნაკლებად დამანგრეველს. მერე ყურთსასმენებებიც გამოჩნდა და დღემდე ყურთსასმენების გარეშე არ ვმგზავრობ.

რას იწვევს ეს ფოლკლორი, უფრო სწორად ფსევდოფოლკლორი: ბნელ სენტიმენტალიზმს, ინტელექტის დაშლას, მხოლოდ ხორციელ სიხარულს (ვინც არ იცის სულიერი სიხარული, ხორციელი სიხარული სულიერი სიხარული ჰგონია), ხორც-გალაღებულობას და ა.შ.

**საიდან გაჩნდნენ ეს მდარე მუსიკალური ნიმუშები საქართველოში?**

ერთმა ფოლკლორისტმა, კონსერვატორიის პროფესორმა ასე მითხრა:, , ჩრდილო კავკასიის ხალხების: ჩეჩნების , ინგუშების, ლეკების, ოსების, დაღესტნელების მუსიკალური ინტონაციები მოედო ქართულ სიტყავას. თავი გაიქართულა. ეს ქართული ინტონაციები არ არის."

**ხალხთა ისტორიაში უამრავლჯერ მომხდარა, როცა ერთი ხალხის კულტურას გავლენა მოუხდენია მეორე ხალხის კულტურაზე, მომხდარა კულტურათა შერევა. მერე რა მოხდა?**

სატირალი ის არის, როცა დაბალინტელექტუალური, ან საერთოდ უინტელექტო ხელოვნება ზემოდან დახედავს მართლა ღირებულ მაღალ ხელოვნებას.

არ შემიძლია არ ვთქვა. ერთხელ ერთი ახალგაზრდა მორიდებით შემომედავა: „რატომ არ გიყვართ ეს სიმღერებიო. მე ძალიან მიყვარსო".



ასე ვუპასუხე: წარმოიდგინე მიდიხარ და თან შორი-ახლოს მიწაზე იყურები. ხედავ მოდის დახვეწილი ტერფები, თვალი ააყოლე, ხედავ ჩამოსხმული ფეხები მოდიან. თვალი კიდევ ააყოლე, ხედავ რა ტანია, რა ყელია, რა ტუჩები, თვალები და ვაი?! წარბებს იქეთ შუბლი არ არის, არც თავის ქალის ნახევარსფერო არ არის. აი, ასეთია თქვენი მუსიკა, ისიც თუ მაღალი შემსრულებლობით მაინც შესრულდა, და თუ დაბალი შემსრულებლობით არის , დაღრიცე ეგ მშვენიერი სხეული. აი, ეს სიმახინჯე როგორ უნდა მიყვარდეს? ასეთი მუსიკით, თუნდაც მაღალი შემსრულებლობით, ვერასოდეს მიხვალ შენი სულის კარიბჭესთან. პირიქით, თუ მისული ხარ, უკან ჩამოგაბრუნებს.

ახალგაზრდამ მიპასუხა: გავიგე, მაგრამ რა ვქნა მიყვარს.

სანამ ადამიანი თვითონ უშუალოდ თავის თავზე არ გამოცდის მაღალი ხელოვნების მასზე მოქმედებას, ის ვერ გაიგებს ამ მდარე ფსევდოფოლკლორის მწარე მოქმედებას.

**მადლობა ღმერთს, პატრიარქის კურთხევით გაიხსნა ქართული ფოლკლორისა და გალობის სიწმინდის დაცვისთვის უმაღლესი ოთხწლიანი სასწავლებელი.მაგრამ ვინ უნდა ჩააბაროს იქ, თუ შესაბამისი სკოლები არ იარსებებენ საქართველოში და სწორი მიმართულებით არ აღიზრდება მომავალი თაობა?**

საქართველოში ზუსტად ამ მიზნით, რომ შეურყვნელად დაიცვან ქართული წმინდა ფოლკლორი და გალობა, გაიხსნა შესაბამისი სკოლები, მე ვიტყოდი ნაკრძალები, რომლებიც დღითიდღე მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება და ძლიერდება. სწორედ იუნესკომ აღიარა ქართული პოლიფონია არამატერიალურ კულტურულ ძეგლად და მას ისევე სჭირდება გაფრთხილება, მოვლადაცვა, როგორც მატერიალურ კულტურულ ძეგლს.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს რაიონში კულტურის პირველი პირი, პროფესიით მუსიკოსია, ამას გარდა აქვს შესანიშნავი ალღო, რა დაიცვას თავგამოდებით, რა უარყოს.მადლობა რეგიონის პირველ პირს, რომ ასეთ სკოლას ინარჩუნებს და იცავს. თამამად ვიტყვი, ამ სკოლამ უკვე გამოზარდა ისეთი კადრი, რომელიც გულიდან არჩევს, გრძნობს ღირებულს არა ღირებულისაგან. მთავარი ეს არის. ეს შედგა. ნაკრძალმა პირველი შვლის ნუკრების ჯიში გამოიყვანა. ოფიციალურად კი ის ითქმება, რომ სკოლა სამი წლისაა და მან ისეთი აბიტურიენტები გაუშვა, რომელთა ცოდანამაც უმაღლესი ქულები დაიმსახურა.

მე ვფიქრობ , რომ ბევრს არ ესმის, სწორად ვერ აფასებს ამ სკოლის შექმნის არსს, მიზანს და ღირებულებას, ისევე როგორც ხელოვნების-მეცნიერების ღირებულებას, და თუ ესმით, მხოლოდ საგნურ-კომფორტულ დონეზე, რომ სხეულმა უფრო მეტი საგნურ-კომფორტული გარემო მიიღოს.რომ არა ამ პიროვნებათა აქტიურობა და მფარველობა ამ სამი წლის შექმნილ სკოლა- ნაკრძალს ათჯერ დახურავდნენ.

ძველ საბერძნეთში, ჩინეთში, სახელმწიფო დონეზე წყდებოდა, რომელი კილო-ტონალობა უნდა გავრცელებულიყო ქვეყანაში, რომელ კილო-ტონალობაში უნდა აღზრდილიყო მამაკაცური ბუნება. რომელ კილო-ტონალობაში ქალური ბუნება და ა.შ.. საუკუნეების იქეთ ქართველის სულიერი სმენა ისეთი დახვეწილი იყო, რომ იცოდა როგორ , რანაირად ჩამოესხა ისეთი ზარი, რომელიც გამოსცემდა წმინდა სიხშირეების ბგერას, მარადისობის ბგერას.

ეს ჩემი სიტყვები ფუჭი ბრძნობა არ არის, რადგან ასეთი ზარები აქა-იქ შემორჩა საქართველოს. ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც ამ ზარის ქვეშ განზომილებათა ცვლა თავზარდამცემად გადაუტანიათ.

ეს ევროპაშიც იცოდნენ და აფასებდნენ, რომ ქართველები სულიერი ბგერის მიღების საიდუმლოებებს ფლობდნენ.

ამიტომ, ფრთხილად ბგერასთან.

ვისაც ამოგიკითხავთ, შენიშნავდით, მეორედ მოსვლა მარადისობის ბუკების ბგერით იწყება.

რაში გვჭირდება ასეთი სიხშირის ბგერა?

დედამიწას და ადამიანს ასეთი სიხშირის ბგერა წმენდავს. ასეთი სიხშირე გრავიტაციასაც კი ცვლის. ვისაც წაუკითხავს იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსი, ანუ გამოცხადება, ჩაუკვირდით, დედამიწაზე აღსასრულებელი რამდენი მოვლენა ჯერ ბგერის შემოტანით, ბგერის სიხშირის გზით ხორციელდება. (?!)

მე არ ვიცი, რომელ საუკუნეში დაიწყებენ ფიზიკოსები ბგერის სიხშირის ბუნების ღრმად შესწავლას, მაგრამ მუსიკოსებმა ამის მნიშვნელობა საუკუნეების იქეთ იგრძნეს.

ნეტა ისე განვითარდეს საქართველოში ეს სკოლა ნაკრძალები, რომ ასეთი ზარის ჩამოსხმის საიდუმლოებების შესწავლაც დაიწყონ.

აქვე დავამატებ, ჰგონიათ, რომ ნებისმიერ ხელს შეუძლია ზარის დარეკვა.შემოკრავ და მორჩა.

როგორც ზარი უნდა ჩამოისხას შესაბამისი ცოდნით და მუსიკალური სმენით, ასევე მრეკავის ხელიც ისევე უნდა მოიძებნოს და გაიწვრთნას, როგორც მსოფლიო მუსიკა გაფაციცებით ეძებს მსოფლიო ნიჭს, რომ მისი ხელი ისე გაწვრთნას, რომ მისი ხელიდან სიწმინდის ბგერებმა დაიწყონ ლივლივი.

ნეტა ჩემი სიკვდილის შემდეგ მაინც მოხდეს ასეთ სკოლებში ასეთი ნიჭი-ხელების ძიება. არა ვბრძნობ. ეს ის ფაქიზი რეალობაა, ვიმეორებ, ფაქიზი რეალობაა, რომელიც ბევრისთვის დახურულია.

სახელმწიფო, რომელიც არ ზრუნავს ერის მორალურ-ზნეობრივ, კულტურულ მხარეზე, ეს სახელმწიფო ან დაირღვევა, ან გახდება მონა , , სახელმწიფო", სადაც მისი ხალხის ფუნქცია იქნება მხოლოდ საგნური კეთილდღეობა და გართობა.

ამ მხრივ სწორი პოლიტიკა ტარდება საქართველოში ამ სკოლა-ნაკრძალების მიმართ. ამიტომ ამ სკოლების დაფინანსება, ვვარუდობ, უახლოვდება ევროპული საშუალო დონის სკოლის დაფინანსებას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქვეყანა პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს ნაციონალური კულტურის ზოგად-საკაცობრიო დონეზე ამაღლებას და შემდეგ ზოგად-საკაცობრიო მაღალ კულტურათა შემოტანას და დამკვიდრებას, ისევ თავისი ერის სულიერ-კულტურული განვითარების მიზნით.

აქვე ერთი გარემოებაც მინდა აღვნიშნო. ნებისმიერ უმაღლეს პროფესიას ადამიანი 4-5 წელიწადში ეუფლება. მუსიკაა ის, რომელსაც 16-17 წლის განათლება ჭირდება იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს მაღალპროფესიონალური კადრი. საქართველოში მუსიკალური, ანუ სახელოვნებო სკოლის პედაგოგის ერთი 45 წუთიანი გაკვეთილი ღირს იმდენი, რამდენიც შეიძლება ქუჩის მათხოვარმა ხელის ერთი გაწვდით მოიპოვოს.

კარგია, რომ სახელმწიფო სკოლა-ნაკრძალებს, ანუ ეროვნულ კულტურას, შესაბამისად აფინანსებს, მთელ საქართველოში.

ცუდია, რომ ზოგად -საკაცობრიო კულტურის პროპაგანდის სკოლებზე კი (სახელოვნებო სკოლები) ვეღარ ზრუნავს, მთელ საქართველოში.

ბოდიში, თუ ჩემი გულისტკივილი პირველად ვთქვი ასე ღიად, თუმცა ეს რა საბოდიშოა, თუ სამადლობელი არა.

ვუსურვებ ამ სკოლა- ნაკრძალებს საქართველოში გამრავლებას, გაძლიერებას და ყველა რეგიონის ხელმძღვანელობას, ამ ქართული ხელშეუხებელი ოქროს ფონდის დამცველ რაინდთა გამოზრდას.

იქნებ დაიბადნენ ისეთი მუსიკოსები, რომლებიც ქართულ ზარში მარადისობის ბგერის სიხშირის ჩადებას ხელახლა აღმოაჩენენ.

მარიამ კიკილაშვილი,
**მუსიკოსი.**

# ქალს შეუძლია მომავლის შეცვლაც...

***არასამთავრობო ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს ქალებმა" (დამფუძნებლები ლალი მეხრიშვილი, ინგა შიოლაშვილი, ელზა ხარაშვილი, მანანა ცხვედიაშვილი) დაასრულა „ქალთა ფონდის" დაფინანსებით წამოწყებული პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის" ფარგლებში საქმიანობა და 4 სექტემბერს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში დასკვნითი საანგარიშო შეხვედრა ჩაატარა. ფოიეში გამოიფინა ასი ფოტოსურათი, რომელზეც ასახული იყო პროექტის „ქალები სუფთა გარემოსთვის" ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია. მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა, ხოლო შემდეგ დარბაზში გადაინაცვლეს. ღონისძიებას ქალბატონი ცარო მარტიაშვილი უძღვებოდა.***

ცარო მარტიაშვილის სიტყვაში გამოსვლის შემდეგ პროექტის ანგარიში „დედოფლისწყაროს ქალების" ხელმძღვანელმა და ამავე პროექტის ავტორმა ლალი მეხრიშვილმა სლაიდშოუთი წარმოადგინა, რის შემდეგაც დედოფლისწყაროს გარემოსდაცვის საქმეში შეტანილი წვლილისთვის და პროექტში „ქალები სუფთა გარემოსთვის",ასევე „დედოფლისწყაროს ქალების" გვერდში დგომისთვის „მადლობის სიგელები" გადაეცათ ხელმძღვანელ პირებს და აქტიურ ქალბატონებს: ნონა ჯიბლაშვილს , ეთერ დავითაშვილს, ხათუნა ზურიკაშვილს, თამარ ლაპიაშვილს, ლალი გურასპაულს, ცარო მარტიაშვილს, ლელა ბილიაშვილს და გალინა ყარაგვეზაშვილს.

**-„2014 წელს, ძალადობის გახშირებული ფაქტების გამოსაინიციატივო ჯგუფის სახელით შევიკრიბეთ, ხოლო 2015 წლის თებარვალში, საჯარო რეესტრში ოფიციალურად დავრეგისტრირდით. დღიდან დაარსებისა ჩვენ გავწევრიანდით იმ სადროშოს ქვეშ, სადაც ქალბატონებს გააჩნიათ შემდეგი პრეტენზია: ქალებს უნდა ჰქონდეთ სოციალური, ეკონომიური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. ასე ნელ-ნელა ვცდილობთ შევარყიოთ გაბატონებული რწმენა, რომ ქალები არიან პასიურები, სხვაზე დამიკიდებული „სუსტი სქესის" წარმომადგენლები. სწორედ მსოფლიოში არსებული ქალის უფლებებისთვის მებრძოლი ძლიერი ქალების დამსახურებაა, რომ დღეს ქალები საზოგადოების მნიშვნელოვან, ძლიერ და ანგარიშგასაწევ პერსონებს წარმოვადგენთ. ჩვენ არ ვითხოვთ მამაკაცებზე ზემდგომობას, ჩვენ ვითხოვთ თანასწორობას და აღიარებას იმისას, რომ ქალებს არანაკლები შეგვიძია, მამაკაცებზე, რომ ქალებს ხშირად იმაზე მეტის გაკეთება გვიწევს, ვიდრე მამაკაცებს და ამიტომაც თანაბარი უნდა იყოს უფლებებიც.**

**ორი წლის მანძილზე „დედოფლისწყაროს ქალებმა" უსახსრობის მანძილზე,მოახერხა შემდეგი აქტივობების განხორციელება:100 ლარის სათამაშოები შევიტანეთ ოზაანის საბავშვო ბაღში. მოვინახულეთ გიორგი ხაჩიაშვილი, რომელზეც ჩვენი სოციალური მასალა შევქმენით. ერთი დღე ავიფარეთ წინსაფრები და მოხუცთა თავშესაფარ სავანეში, მოხუცების მოსამსახურეები ვიყავით. 10 ქალბატონი უფასოდ შევიყვანეთ სპორტის ცენტრის სპორტულგამამხნევებელ დარბაზში. დავეხმარეთ სოციალურად გაჭირვებულ შვილისგან ძალადობის მსხვერპლ მოხუც დედას ერთი ტომარა ფქვილით. ოთხშვილიან დედას შევუძინეთ სასურსათო პროდუქტი, ცხიმი და ბურღულეული. ჩავატარეთ ტრენინგი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თლავის ხელმძღვანელის მარეხ მგალობლიშვილის დახმარებით. ჩავატარეთ კონკურსი „თამარ მეფე, როგორც ძლიერი ქალი", და დავასაჩუქრეთ 8 გამარჯვებული ბავშვი. პარალელურად ვილებდით და ვუსმენდით, კონსულტაციებს ვაძლევდით არაერთ ძალადობის მსხვერპლ დედას და ქალს, რომელიც ჩვენს კარს მოსდგომია. უსახსრობის დროს, ჩვენი გვერდშიდგომა და დახმარება გამოხატეს ძალიან კარგმა ადამიანებმა და მოქალაქეებმა: კახა ჯალიაშვილმა, ელიზბარ იმერლიშვილმა, დავით გონაშვილმა, ვიოლეტა ნატროშვილმა, ნიკოლოზ ბენიაიძემ.**

*(გაგრძელება გვ. 5)*

# ღვინის ეროვნული სააგენტო – 6 სექტემბრის მონაცემებით, კახეთში 6,6 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 6 სექტემბრის 10:00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 6,6 ათასი ტონა ყურძენი. აქედან 2 000 ტონამდე რქაწითელი, 3 000 ტონამდე საფერავი, 461 ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლების სახით 4,9 მლნ ლარია მიღებული.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 98 ღვინის კომპანია. ყურძნის გადამუშავების პროცესში უკვე ჩართულია 34 ღვინის კომპანია. დღელამური გადამუშავების მაჩვენებელმა 1,3 ათას ტონას მიაღწია.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელი - 2,8 ათასი ტონა, თელავი - 1,6 ათასი ტონა, სიღნაღი - 930 ტონა, გურჯაანი - 465 ტონა, დედოფლისწყარო - 540 ტონა, ახმეტა - 187 ტონა, საგარეჯო - 35 ტონა და ლაგოდეხი - 13 ტონა.

დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე - 1501.

მევენახეობის დარგის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება აღარ არსებობს და შესაბამისად, მთავრობის განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემა. ამასთან ერთად, ბრენდის წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით, რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ.



# აგვისტოში FAO-ს სურსათის ფასის ინდექსი დაეცა, რაც მსოფლიოში ხორბალსა და მარცვლეულზე ფასების შემცირებითაა გამოწვეული



აგვისტოში სურსათზე გლობალური ფასები შემცირდა. როგორც გაერო-ს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში (FAO) აცხადებენ, მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების პერსპექტივამ დიდი მარაგების დაგროვების მოლოდინი გააჩინა, რაც გლობალური ფასების შემცირების ძირითადი მიზეზი გახდა.

გაერო-ს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი, ივლისთან შედარებით, 1.3 პუნქტით შემცირდა და აგვისტოში 176.6 პუნქტი შეადგინა. ინდექსის შემცირების ძირითადი მიზეზი FAO-ის მარცვლეულის ფასის ინდექსის 5.4%-იანი შემცირება იყო, რაც, თავის მხრივ, შავი ზღვის რეგიონში მარცვლეულის გაუმჯობესებული მოსავლის მოლოდინის ფონზე, ხორბლის ფასების მკვეთრმა ვარდნამ გამოიწვია.

აგვისტოში FAO-ის სურსათის ფასების შემცირებით ინდექსის სამთვიანი უწყვეტი ზრდის პერიოდი დასრულდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველთვიური შეწონილი სავაჭრო ინდექსი, რომელიც ხუთი ძირითადი სასურსათე ჯგუფის (მარცვლეული, ხორცი, შაქარი, ზეთი, რძის პროდუქტები) საერთაშორისო საბაზრო ფასებს ასახავს, გასული წლის მაჩვენებელს 6%-ით აღემატება.

მარცვლეულის ფასების ინდექსის გარდა, ამ თვეში FAO-ის ხორცის ფასების ინდექსიც 1.2%-ით შემცირდა, ხოლო შაქრის ფასების ინდექსი - 1.7%-ით. ეს უკანასკნელი შაქრის წამყვან მწარმოებელ ქვეყნებში, ბრაზილიაში, ტაილანდში და ინდოეთში, ლერწმის სახარბიელო მოსავალმა განაპირობა; ამასთან, ჩინეთისა და ინდოეთის მიერ მაღალი ტარიფების დაწესების გამო შაქარზე საერთაშორისო მოთხოვნა შემცირდა, რამაც შაქრის ფასების ინდექსის შემცირებაზეც იმოქმედა.

ხოლო FAO -ის მცენარეული ზეთის ფასების ინდექსი 2.5%-ით გაიზარდა, რაც პალმის, სოიოს, რაფსის და მზესუმზირის ზეთის კვოტირების ზრდით არის განპირობებული.

ასევე, FAO-ის რძის პროდუქტების ფასების ინდექსი, 1.4 პროცენტით გაიზარდა ივლისთან შედარებით. ზრდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კარაქის ცხიმზე მოთხოვნის ზრდით არის განპირობებული.

# ქალს შეუძლია მომავლის შეცვლაც...

*(მეოთხე გვერდიდან)*

**ამ თანადგომისთვის, ახლა მეძლევა საშუალება მადლობა მოვუხადო მათ.**

**2017 წლის მარტის თვეში, უკვე მოგეხსენებათ, ვწერთ პროექტს და „დედოფლისწყაროს ქალები“ იმარჯვებს პროექტში „ქალები სუფთა გარემოსთვის“. ეს ხდება საფუძველი, მოგვცემოდა საშუალება, ჩავბმულიყავით ახალ საქმიანობაში, რასაც ქალის და ადამიანების უფლებების გარემოსდაცვის კუთხით დაცვა ჰქვია**“-აღნიშნა დედოფლისწყაროს ქალების ხელმძღვანელმა და ჩემმა კოლეგამ ლალი მეხრიშვილმა.

ღონისძიებაზე დებმა ლოლაშვილებმა და დებმა ყოჩიაშვილებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები, (პედაგოგი დალი ელისაშვილი), სტუდია „ბერიკონის“ ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს დიდებული ნომერი- „ჩვენი ტკივილი“, რამაც საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა საქართველოს სვე-ბედზე. შესრულდა კლასიკური ნაწარმოებები: არაჩვეულებრივმა მუსიკოსმა და პედაგოგმა მარიამ კიკილაშვილმა მთელი გრძნობით დაუკრა შოპენის ნაწარმოები, ხელოვნების სკოლის კურსდამთავრებულმა უნიჭიერესმა მალვინა ისმაილოვამ ფორტეპიანოზე „ბინდის” საუნდტრეკის მისეული ინტერპრეტაციით დაგვატკბო.

ღონისძიების დასასრულს „დედოფლისწყაროს ქალებმა“ თავისი ორწლიანი ჩანაფიქრი განახორციელა და დააჯილდოვა ხალხის და „დედოფლისწყაროს ქალების“ რჩეული ქალბატონები, რომლებიც წლების მანძილზე დიდი რუდუნებით ეკიდებოდნენ პროფესიულ საქმიანობას და, ასევე წარმატებით ატარებენ, როგორც საუკეთესო მოქალაქე ქალბატონის, ისე დედის სანიმუშო მანტიას. ნიშანდობლივია, რომ “დედოფლისწყაროს ქალები” სამი თვის მანძილზე აწარმოებდა ხალხის გამოკითხვას, როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში, ასევე სოფლებში, საიდანაც გამოვლინდა თითო სოფელში თითო ან ორი გამარჯვებული ქალბატონი. არასამთავრობოს მიზანი იყო, გამოევლინა ქალბატონები, რომელნიც დაფასებულები არიან ხალხში და მათ სიტყვას პატივისცემით ეკიდებიან. სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ ხალხის და დედოფლისწყაროს რჩეული ქალბატონები:

ქალაქ დედოფლისწყაროდან დაჯილდოვდნენ დედოფლისწყაროს მოსახლეობის და „დედოფლისწყაროს ქალების“ რჩეულები, პედაგოგები: ნანული ნატროშვილი, თამარ ბოსტაშვილი, ნუნუ ცაკაშვილი, მუსიკოსები: დალი ელისაშვილი, მარიამ კიკილაშვილი, მევიოლინე თამარ კიკილაშვილი. ექიმები: მარინე ღვინიაშვილი, მანანა ბეგლარიშვილი, ნათელა თამაზაშვილი; მედდა ნონა - ბოჭორიშვილი. საკრებულოს წევრი- ლია ნატროშვილი, ბიბლიოთეკარი -თინიკო ელაშვილი, იურისტი- ეთერ შაიშმელაშვილი, მუზეუმის თანამშრომელი -ლალი ბასილაშვილი, ბიზნესმენი -ირინა მერაბიშვილი.

სოფელ ზემო მაჩხაანიდან დაჯილდოვდნენ: ექიმი- ვიოლეტა ნატროშვილი, პედაგოგი- ნანა ჯავახიშვილი.

სოფელ არბოშიკიდან დაჯილდოვდნენ: ექიმი -ნათელა ბოსტოღანაშვილი, პედაგოგი- დარეჯან ბალაშვილი.

სოფელ ოზაანიდან დაჯილდოვდნენ: ექიმი - მერი ბაცაცაშვილი, პედაგოგი რუსუდან მათეშვილი;

სოფელ მირზაანიდან დაჯილდოვდა მუზეუმის თანამშრომელი-მაყვალა რობიტაშვილი;

სოფელი ხორნაბუჯიდან დაჯილდოვდნენ: პედაგოგი რუსუდან გონაშვილი, სოფელ ხორნაბუჯის უბნის ექიმი ლაურა ხუციშვილი.

სოფელი სამრეკლო: პედაგოგი ნანა საყვარლიშვილი;

სოფელი ზემო ქედი: ფოლკლორისტი მაყვალა წიკლაური;

სოფელი არხილოსკალო: პედაგოგი მარიამ გვრიტიშვილი;

სოფელი ქვემო ქედი: ხალხური მთქმელი ეთერ ჩოხელი;

სოფელი სამთაწყარო: პედაგოგი ლიანა მამულაშვილი;

სოფელი საბათლო: პედაგოგი ნათია ფათალიშვილი;

დაჯილდოებული ქალბატონებიდან სიტყვით გამოვიდნენ: მარიამ გვრიტიშვილი, დარეჯან ბალაშვილი, რუსუდან გონაშვილი და სხვები.

ღონისძიების სტუმრები იყვნენ :სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი გენდერის საკითხებში მაია სუხიშვილი, ქალთა



ფონდის მონიტორინგის და ევალუაციის მენეჯერი ია ქაჯაია და კომუნიკაციის მენეჯერი ლონდა ბერია.

ღონისძიება საესტრადო სიმღერით დახურეს პედაგოგ ნინო ნიკვაშვილის მოსწავლეებმა- მარიამ ჯორკოშვილმა და დებმა ლოლაშვილებმა.

შემაჯამებელი შეხვედრის ბოლოს სტუმრები გოდერძი გონაშვილის მარანში მივიწვიეთ, სადაც მოხდა ღვინის დეგუსტაცია, პურის და და ნახუქის ცხობის ჩვენება და ქიზიყური ტრადიციული სუფრის პრეზენტაცია, თავისი წეს-ჩვეულებით. საიდანაც „ქალთა ფონდის“ წარმომადგენლები დედოფლისწყაროზე ძალიან კარგი შთაბეჭდილებით წავიდნენ. — „ჩვენ დღეს ვნახეთ საქართველოს სულ სხვა კუთხე, თავისი ხალასი და გამორჩეული კულტურით, არაჩვეულებრივი, ნიჭიერი, ძლიერი და ლამაზი ქალებით. ჩვენ კვლავ დავბრუნდებით!“ - აღნიშნეს სტუმრებმა და დაგვემშვიდობნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

# ახალგაზრდა ოჯახი და საქმის საოცარი სიყვარული

გინახავთ, როგორ დასდევს 2 წლის გაბრიელი იხვებს, ან ინდაურებს, ან როგორ ზედამხედველობს გოჭებს და ცხვრებს?! - წარუშლელი შთაბეჭდილებაა, როდესაც იგი იცვამს ბოტებს, ხელში ჯოხს იღებს და დედ-მამის მამულში ბატონივით დაიარება- ეს უბრალოდ საოცრებაა და ბავშვობიდან შრომის შეყვარება. როდესაც შენს რაიონში ხედავ ახალგაზრდა ოჯახს, რომელსაც აქვს ძალიან დიდი ინტერესი, განავითაროს სოფლის მეურნეობის ის დარგი, რომელიც ჩვენთან წესით უნდა ყვაოდეს, ეს უკვე დიდი პოზიტივია, ბევრისთვის კი-მისაბაძი მაგალითი.

ის დღე მართლაც განსხვავებული იყო ჩემი მუშაობის პრაქტიკაში, ინტერვიუზე წავედი არა რომელიმე პედაგოგთან, ექიმთან, ან პოეზიის ტრფიალთან, არამედ ეკონომისტ გოგონასთან, რომელმაც ორი წლის წინ ბანკში მუშაობას თავი გაანება და ოჯახური ფერმერობა წამოიწყო. დამეთანხმებით ,ერთი შეხედვით საინტერესო, მომგებიანი და ამავდროულად საკმაოდ რთული საქმე, ძნელი წარმოსადგენია მართოს ახალგაზრდა, 2 წლის შვილის დედამ, 27 წლის ქალბატონმა, რომელიც ნაზი არსებაა, საკმაოდ დიდი ინტერესს შეიცავს. უფრო მეტიც, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის საქმისადმი სერიოზული მიდგომა, სიყვარული და ყველაფრისადმი თბილი დამოკიდებულება, ამ ყოველივეს ისე აადვილებს და სახალისოს ხდის, რომ ფერმერობა უბრალოდ რომც არ გაინტერესებდეთ, აუცილებლად გაგიჩნდებათ იდეა, გახდეთ ფერმერი.

ნათქვამია,- „ხეს ნაყოფით, კაცს კი შრომით სცნობენო.“ „თუ კაცს შრომა უყვარს, მას ღმერთიც დაეხმარებაო!“ სწორედ ჩემი წერილის მთავარი გმირის კარგი ქალობაც, მისი შრომისმოყვარეობიდან ნათლად ჩანს. ისიც სწორად უთქვამთ, შრომისმოყვარეს უფალი ხელს უწვდისო. წარმოგიდგენთ 27 წლის თეონა სეხნიაშვილს, რომელმაც მეუღლესთან-დავით ალხანიშვილთან ერთად არწივის ხეობის სიახლოვეს არსებულ პატარა სახლსა და ნაკვეთში ფერმა გააშენა, ადგილს, რომელსაც სახელად „თეოს ფერმა“ უწოდეს, თავდაპირველად მხოლოდ დავითი უვლიდა, თუმცა, ისიც ვიცით, რომ ცოლ-ქმრის ულელი მადლიანად მხოლოდ მაშინ გაიწევა, თუ ერთს მეორეც შეუდგება. მათ შემთვევაშიც ასე მოხდა, დავითის მეურნეობას სანამ თეო არ ჩაუდგა სათავეში, მანამდე ფერმამ ხვავი, ბარაქა და თავისი ხიბლი ვერ შეიძინა. რჩევისთვის გეტყვით, თუ თქვენ ეს საქმე არ გიყვართ, ხელი არც მოკიდოთ ფერმერობას, მაგრამ თუ გაინტერესებთ, მერწმუნეთ, ამაზე სასიამოვნო, მომგებიანი და ამავდროულად წყნარი საქმე ქვეყნად არაფერია. ამ საქმეში თქვენი თავის უფროსიც და ბატონ - პატრონიც თავად ხართ.

ერთ-ერთ ფოტოში მე ვნახე, თუ როგორი სიყვარულით ამშობიარებდა თეონა დედა ღორს და როგორ იჭერდა ხელში ახალშობილ გოჭებს, ამას უბრალოდ ადამიანი ვერ გააკეთებს, თუ თავის საქმე მართლა გულით არ უყვარს. ფოტომასალამ იმდენად დამაინტერესა, რომ მაშინვე თეონას დავუკავშირდი, თქვენზე მასალა მინდა გავაკეთო-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა და მალე, მე არწივის ხეობისკენ გზას გამიყენეს.

-ჩვენი მამულიდან ერთდროულად ჩანს არწივის ხეობის ლამაზი ხედებიც და ელიის მთაც, რაც სიმბოლურად ალამაზებს ჩვენს ფანჩატურს, რომელიც შემაღლებულ ადგილას მამამ და მამამთილმა ერთობლივად გააკეთეს. აქვე გვაქვს ალმართული ჯვარიც, მეუფე შემპირდა, რომ აუცილებლად მიკურთხებს აქაურობას.

**-პირველი, რაც მინდა გკითხოთ, როგორ გაგიჩნდათ ეს იდეა?**

-თავდაპირველი იდეა ჰქონდა დათოს, თუმცა მალე იცრუებდა გულს და თავს მალე ანებებდა, მერე მე ჩავერთე, მე ასე მალე არ დავნებდი, უფრო მიზანდასახული და მებრძოლი აღმოვჩნდი, ვიდრე დათო. მეტი მოვინდომე და ერთობლივმა საქმის სიყვარულმა ყველაფერი წარმატებისკენ წაიყვანა. თანაც ეს ყველაფერი არის ის საქმე, რაც ჩვენ გვიყვარს და გვაინტერესებს. ამ საქმეში ჩემი ჩართვა ჩემმა ბავშვობიდან მეურნეობისადმი სიყვარულმა განაპირობა. დედას ჰყავდა ქათმები და სულ ვეჩხუბებოდი, რომ მე მეჭმია მათთვის, რადგან ქათმებს რომ ვაჭმევდი და ხელებზე სუნი ამდიოდა, ისიც კი მიყვარდა. ახლაც ასეა, მე უბრალოდ მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ. როდესაც მე და დათო შეყვარებულები ვიყავით და ოჯახის შექმნას ვაპირებდით, ვეუბნებოდი, კერძო სახლი გვქონდეს და ეზოში აუცილებლად საქათმე გვქონდეს-მეთქი, რომ ამის გარეშე ვერ გავძლებდი.

**-ვხედავ, რომ ციცირიც გყავთ, ბატიც, მოდი, ჩამოვთვალოთ რა სახეობის ფრინველები და ცხოველები გყავთ?**

-ცხვარი გვყავს, ქათამი, ჭუკი, ბატი, იხვი, ციცირი, ლანდრას ჯიშის ღორები. კურდღელი არ გვყავდა და ისიც გავიჩინეთ, იხვები გადავცვალეთ კურდღლებზე და ახლა უკვე მათაც ვაშენებთ. გაზაფხულობით აქ დიდი საქმე გვაქვს ხოლმე, დილით ცხრა საათზე ადრე მოვდიოდით, წიწილების და ჭუკების გამოყვანის დრო იყო, ახლა საღამოობითღა მოვდივარ და 70 ინდაური გამყავს არწივის ხეობასთან ახლოს მდებარე საძოვარზე, იქ, მინდორში კალიები ეგულებათ და ხალისით მომყვებიან. თან უკვე იციან, საით უნდა წავიდნენ დასაით არა. ერთი მინუსი კი აქვს აქ ფერმის არსებობას-ორბები და ტყის ცხოველები საფრთხეს უქმნიან ჩვენს ფრინველებს, მაგრამ ამასაც ვუმკლავდებით. ერთხელ მელამ სტაცა ერთ ჭუკს კისერში პირი და გავაგდებინე, ახლაც შეხედეთ, არწივის ხეობიდან მიმინო დაგვტრიალებს თავზე, ის აქაურობას ათვალიერებს, დახედავს და შემდეგ, არაა გამორიცხული, ჭუკი მოიტაცოს.



**-ვინ გეხმარებათ ვოლიერების აშენებაში?**

-მეუღლე, მამა და მამამთილი მუდმივად გვერდში მიდგანან და ყველა პირობას ქმნიან, რომ არ შემექმნას პრობლემა ამ მხრივ.

**- რამდენად მომგებიანაია ეს საქმე, და რეალიზაციას როგორ ახდენთ?**

- ბაზარში გამყავს ხოლმე კვირაობით და ვყიდით ცოტ-ცოტას ჭუკსაც, წიწილასაც, გოჭსაც და ამ თანხას ისევ მათ კვებას და წამალს ვახმართ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ გამრავლებაზე ვართ ორიენტირებულები და გაფართოვებაზე, ჯერ ჩვენ ამ ფერმის მონაგები ჩვენი პირადი მიზნებისთვის არ გამოგვიყენებია.

**-თქვენ? (ძალიან გამიკვირდა) თქვენ დგახართ ბაზარში და ყიდით? როგორ ახერხებთ ამას, მე მოვკვდებოდი და ვერ მოვახერხებდი.**

-ჩვეულებრივად, არ მრცხვენია, შრომის შემდეგ რატომ უნდა მომერიდოს ჩემი გაზრდილის გაყიდვა?(იცინის)

**-კვებით როგორ უძლევბით ამხელა საქონლის გამოკვებას, ჭამა ხომ უნდა, რით კვებავთ?**

-(ამჯერად დათო მესაუბრება) ჯერ-ჯერობით ჩვენი მარაგი გვყოფნის, ჩვენი საკუთარი ნაკვეთები გვაქვს, ვამუშავებთ და მას ვიყენებთ, თუმცა, ყიდვაც ბევრჯერ გვიწევს ხოლმე, ახლა კიდევ იაფია-35 თეთრი ღირს ქერი და ხორბალი, მაგრამ 70 თეთრს რომ ასცდება, მაშინ ძალიან ჭირს. რა თქმა უნდა, არ ჯდება იაფი ამ ყველაფრის გამოკვება, მაგრამ თუ გყავს, საკვები აუცილებელი ატრიბუტია, მის გარეშე არაფერი გამოვა. ჯერ-ჯერობით, ორი წელია, რაც შემოსავალი შემოგვდის და მთლიანად ვახმართ ისევ მათ კვებას. გვინდა, რომ კიდევ ბევრი სახეობის საქონელი და ფრინველი გავიჩინოთ. ახლო მომავალში, ვაპირებთ ხბო ვიყიდოთ.

**-რამდენად იცნობთ ვეტერინარიას და ვინ განაგებს ამ საკითხს თქვენში?**

-ამას მე ვუძღვები, (თეონა ერთვება) ვკითხულობ ლიტერატურას, ვეცნობი, ვსწავლობ, ამჯერად, მაგალითად ,არ მომწონს ჭუკების მდგომარეობა, ეტყობათ, რომ წამლის მიშველიება უნდათ და აუცილებლად უნდა დავალევინო, თორემ მათ ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნება. ამდენი ხანი რომ ვუვლი და ვაჭმევ, უკვე ვისწავლე, სხვათაშორის, დაინტერესებული ვარ ვეტერინარია შევისწავლო და მინდა კაჭრეთის კურსებზე ჩავეწერო, დავრეკე კიდეც მათთან და დამპირდნენ, რომ შემატყობინებენ სწავლის დაწყების თარიღს. ფუტკარიც მინდა გავიჩინო, ძროხაც...

**-მაინტერესებს, თავიდან რით და როგორ დაიწყეთ?**

- ანუ, წელს ყველაზე მეტი გვყავს, ხან ცოტა გვყავდა. შარშან 8 ნაჩუქარი იხვით დავიწყეთ, ვადედაშვილეთ და 40 იხვი ვიყოლიეთ, იქიდან გავზარდეთ, ათას ლარამდე მოგებაზე ავედით, დღეში 35- 40 კვერცხი გვქონდა იხვებისგან. ინდაურები მაგიტომ მყავს, რომ დეკემბერში გავყიდო. ნაწილს დავიტოვებ, რომ მეორე წელს კიდევ გავზარდო.



**- ძაღლიც ორი გყოლიათ, ეს აუცილებელია ფერმისთვის?**

- კი, კი, ენოტია შემოჩვეული ამ ადგილებს და ყველგან, სადაც არის საშიშროება, რომ შეძვრეს, ძაღლს ვაბამთ. ახლა ერთი ძაღლი კიდევ მინდა, რომ იმ ნაპირის ზოლში დამცველად ვიყოლიო.

**- ღამით ამ ყველაფერს მარტო ხომ ვერ დატოვებთ, ვინმე გყავთ და უვლის?**

- კი, კაცი გვყავს, რომელიც დღე და ღამე აქაა, დარაჯიცაა და ჩვენ სანამ მოვალთ, მათი მიმხედავიც ისაა. უყურადღებოდ არ ტოვებს.

**-კურდღლებს რითი კვებავთ?**

-კურდღლებს ქერს ვუყრით და ტოტებს.იქით ბოსტანი გვაქვს და საქონლის ჭარხალი გვითესია, მაგის ფოთოლი უყვარს ყველას, ცხვარსაც, ინდაურსაც, ქათამსაც, ღორსაც...საქონლის ჭარხალს ასეთი თვისება აქვს,სულ რომ მოაცალო ფოთოლი, მორწყავ და სამ დღეში ახალი ფოთოლი ამოსდის, სიმწვანეს მთელი ზაფხულის პერიოდში ინარჩუნებს.

**-საქონლის ჭარხლის თესლი სად იშვეთ?**

-იყიდება თბილისში და ვყიდულობთ.

**-როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- გვინდა გავაფართვოთ ფერმა, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ, თუმცა, ამ ეტაპზე ძნელია ჩვენთვის, თანამედროვე სტანდარტებზე ვიფიქროთ, ჯერ იმ ყველაფრისგან ძალიან შორს ვართ, მომავალში თუ გაგვიმართლა, აუცილებლადგავათანამედროვებთ ჩვენს ფერმას.

**-იყო ფერმერი და თან იყო ასეთი ლამაზი, სათნო, ძალიან ნაზი გოგო, როგორ უთავსებთ ერთმანეთს?**

- (იცინის) თან პარალელურად მეორადების მაღაზიაც გვაქვს მე და ჩემს დას, ვახერხებ, რადგან ორივე საქმე ჭკვიანურია და თან ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. (დათო ერთვება) ამას განსაკუთრებული სიყვარული აქვს საქმის. თუ რაიმე შეიყვარა, დამთავრდა, იმ საქმეს ხელს აღარ გაუშვებს.

- გაოცებული შევყურებ თეოს, მის ხალისიან, ღიმილით სავსე, ბედნიერ სახეს და ვფიქრობ, რამდენად ჭკვიანი და დაბრძნებული უნდა იყო ადამიანი, რომ ამხელა მეურნეობის ჩამოყალიბება და აწყობა იფიქრო, შესაძლოა, მეუღლეც გულიანად უდგას გვერდით, მამაც, მამამთილიც, მაგრამ, მაინც გმირობაა, რადგან დღეს ასეთი საქმით იშვიათი ახალგაზრდა ინტერესდება. მიკვირს მაინც, როგორ დაინტერესდა და შემდეგ ამ ყველაფრის რეალიზაცია როგორ მოახდინა, მაგრამ მისი შემხედვარე ვრწმუნდები, თუ საქმეს მეტი სიყვარული დააყოლე, ათმაგად და ასმაგად გაგიმართლებს. მინდა, რომ ჩვენს ირგვლივ ბევრი ასეთი მიზანმიმართული ოჯახი არსებობდეს, ბევრმა აიღოს მათი ტკბილი და მშრომელი ოჯახიდან მაგალითი და ბევრს გაუმართლოს. წარმატებები მინდა ვუსურვო თეოს და დათოს თავიანთ საქმიანობაში.

ლალი მეხრიშვილი

# „ირმა“ – მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ძლიერი ქარიშხალი

***ბოლო დღეებია ამერიკის შეერთებულ შტატებს ქარიშხალი "ირმა" უტევს. ქარის სიჩქარის გამომთვლელის დაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ "ირმა" ყველაზე ძლიერი ქარიშხალია ისტორიაში. ქარის სიჩქარე უკვე აღწევს 295 კილომეტრს საათში. ამერიკული მედიის ბოლო მონაცემებით, უმაღლესი, მეხუთე კატეგორიის ქარიშხალ "ირმას" შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 14-ს მიაღწია.***

არსებული ინფორმაციით, სტიქია ფლორიდასა და კუბას უახლოვდება. განსაკუთრებით რთულ სიტუაციას მაიამის ტერიტორიაზე პროგნოზირებენ. უფრო ადრე სტიქია კარიბის კუნძულებზე მძვინვარებდა. ყველაზე დიდი ზარალი ბარბუდის კუნძულს მიადგა. ტერიტორიაზე თითქმის ყველა ნაგებობა დანგრეულია.

წითელი ჯვრის მონაცემებით, სტიქიამ ნახევარი მილიონი ადამიანი უკვე დააზარალა, 26 მილიონს კი საშიშროება ემუქრება.

**"ეს ტორნადოს მსგავსია",** - ამბობს ატმოსფერული კვლევის ეროვნული ცენტრის მეტეოროლოგი ჯეფ ვებერი.

აშშ-ის ქარიშხლის ეროვნული ცენტრის პროგნოზის მიხედვით, კვირას, 10 სექტემბერს სამხრეთ ფლორიდაში იქნება ძლიერი ქარი, წვიმა და სანაპიროზე შტორმი.

**რატომ გახდა "ირმა" ასეთი ძლიერი, ინტენსიური და საშიში?**

კოლორადოს შტატის უნივერსიტეტის მეცნიერის, ფილ კლოცბახის თქმით, ქარიშხლის სიძლიერე განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით: "წყლის ტემპერატურა, ქარი და ატმოსფეროს ტენიანიანობა. თბილი წყალი და ატმოსფეროს ტენიანობა ქარიშხალს ენერგიას აძლევს. ქარის სუსტი მოძრაობა

კი, რაც ნიშნავს სიმაღლესთან ერთად, ქარის მიმართულების მცირე ცვლას, მით უფრო ინარჩუნებს ქარიშხალს ლოკალურად და ძლიერებს"."ირმას" კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მას პირდაპირი კონტაქტი არ აქვს მიწასთან, იმის მუხედავად, რომ მან გაანადგურა რამდენიმე პატარა კუნძული კუნძული".

**ბოლო ორი დღის განმავლობაში შტორმმა სახელწოდებით "კატია" და "ხოსე" ატლანტის ოკეანეში ქარიშხლის სტატუსს მიაღწიეს. რა უნდა მოუხერხონ იმ ფაქტს, რომ ერთდროულად სამი ქარიშხალია აქტიური?**

მეტეოროლოგების თქმით, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ეს არ არის უპრეცედენტო შემთხვევა. როგორც ისინი ამბობენ, ასეთი რამ ყოველ



10 წელიწადში ერთხელ ხდება. ფილ კლოცბახის თქმით, "1966 წლიდან მოყოლებული ასეთი რამ მომხდარა 1967 წელს, 1980 წელს, 1995 წელს, 1998 წელს, 2010 და ახლა უკვე 2017 წლებში, ამიტომ ეს ახალი არ არის, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ასეთი სტიქიური უბედურების სეზონი პიკს აღწევს".

**შეიძლება თუ არა ქარიშხლის სიძლიერე დავბარალოთ კლიმატის ცვლილებას?**

მეტეოროლოგების თქმით, როდესაც საქმე ქარიშხალს ეხება, კითხვაზე ზუსტ პასუხს ვერავინ გასცემს. შტორმი ძლიერია, მაგრამ არც ისეთი ძლიერი, როგორიც ყოფილა ადრე. ქარიშხლები ასობით წლის განმავლობაში ანადგურებდნენ ატლანტის სანაპიროს, თუმცა კლიმატის ცვლილება სავარაუდოდ, თამაშობს გარკვეულ როლს მის გაძლიერებაში.

# მეუფე დიმიტრი დეკანოზ გიორგი მამალაძეზე, მეუფე პეტრესა და შორენა თეთრუაშვილზე

***ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დიმიტრი ე.წ. ციანიდის საქმეში მსჯავრდებულის, დეკანოზ გიორგი მამალაძის მონახულებას აპირებს. ამის შესახებ მეუფემ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. თუ როდის აპირებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლას, მეუფე დიმიტრის არ დაუკონკრეტებია.***

"ვაპირებ შევხვდე, რადგან წლებია ჩვენ ურთიერთობა გვაქვს. მისმა ამ ქმედებებმა გარკვეულწილად დააზიანა ეს ურთიერთობები, თუმცა ჩვენი უმთავრესი მოწოდებაა, რომ ადამიანი უნდა შეიწყნარო და იყოს სინანულში. მამა გიორგის ჯერჯერობით ამის განცდა არ აქვს, მაგრამ ალბათ გაუჩნდება", - განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.



მისივე თქმით, დეკანოზმა ციხიდან მას ორი წერილი მისწერა:

"მამა გიორგისგან ციხიდან მივიღე ორი წერილი. ორივე წერილში ის განიცდის ერთ გარემოებას და მწერს, რომ ბოდიში მინდა მოგიხადოთ, რადგან ხშირად საქმის კურსში არ გაყენებდით იმ რაღაც საკითხებში, რომელსაც მე ვთვლიდი, რომ მე უნდა გადამეწყვიტა, ან ვფიქრობდი, რომ ამით გაწუხებდითო და სხვა. სასამართლოზეც მითხრა, რომ ჩემთან შეუთანხმებლად არაფერს არ აკეთებდა.

ამ წერილში მწერს, რომ თქვენ ხართ ადამიანობისა და ღირსების ეტალონიო. მე ვუთხარი, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეტალონებს ასე არ ექცევიან. როდესაც ის აცხადებს, რომ მას შორენა თეთრუაშვილი უკვეთავდა გველის შხამს თუ ციანიდს, და თუ ის ჩემთან ყველაფერს ათანხმებდა, რატომ არ მითხარით, რომ შორენა თეთრუაშვილი ასეთ რაღაცას უკვეთავდა?", - განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი სასამართლოს მიერ დეკანოზის საქმეზე გამოტანილ განაჩენს ეხმაურება. მეუფე დიმიტრი ე.წ. ციანიდის საქმეში მსჯავრდებული დეკანოზის დაცვის მხარეს არასათანადო მომზადებაში ადანაშაულებს. როგორც მეუფე დიმიტრიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, არასათანადო მომზადება დაცვის მხარეს სასამართლო პროცესზე, მისი დაკითხვისას შეამჩნია.

"მე მოვინახულე სასამართლოზე. ვიყავი მოწმე, აქედან გამომდინარე თავს ვიკავებდი შეფასებებისგან, რადგან ამის უფლება არ მქონდა. სასამართლოს წინაშე როდესაც წარვსდექი და დამკითხეს მოწმის სახით, ცოტა გაკვირვება გამოიწვია დაცვის მხარის არასათანადოდ მომზადებამ", - განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

მისივე თქმით, დეკანოზის დაცვის მხარესთან შეხვედრას თავი ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებებიდან გამომდინარე აარიდა.

"ისინი დიდი ხნის მანძილზე ლამობდნენ ჩემთან შეხვედრას, რასაც შეგნებულად თავს ვარიდებდი, რადგან მოვისმინე მიხეილ რამიშვილის უცნაური განცხადება. მას ეკითხებიან, რომ მეუფე პეტრემ ურჩია დეკანოზ მამალაძეს, რომ შორენაზე დაედო ხელი? უცნაური პასუხი გასცა ბატონმა რამიშვილმა: მე ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებო", - აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

ბათუმისა და ლაზეთის მიტრიპოლიტმა მეუფე პეტრეზეც ისაუბრა. მისი თქმით, მეუფე პეტრეს ძალიან საინტერესო როლი აქვს, რადგან მისი "დამსახურებაა" უამრავი წინააღმდეგობაა ამ საქმეში.

მეუფე დიმიტრის თქმით, სწორედ მეუფე პეტრე ამბობდა, რომ ციანიდი დეკანოზს ხან ხატისთვის სჭირდებოდა, ხან რისთვის და ხან რისთვის. მისივე თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძის უკრაინაში მსახურების დროს მეუფე პეტრე დიასპორის წარმომადგენლებს აფრთხილებდა, რომ თავი შეეკავებინათ დეკანოზთან ურთიერთობისგან და ამ ფონზე გასაკვირია, დღეს ასე თავგამოდებით რატომ იცავს.

„მეუფე პეტრე მამა გიორგის ისე თავგამოდებით იცავდა და იცავს და არაფერი არ არის გასაკვირი ამაში, მან ალბათ უფრო დეტალურად იცის და მის დანაშაულში ალბათ ეჭვი არ ეპარება, მაგრამ ჩემთვის არის მეტად საინტერესო და საკვირველი ერთი რამ - 5, 6 წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მამა გიორგი მსახურობდა უკრაინაში, მეუფე პეტრე შეხვდა უკრაინაში, დონეცკის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და კატეგორიულად გააფრთხილა, რომ თავი შეეკავებინათ დეკანოზ გიორგი მამალაძესთან ურთიერთობისგან.

მე და მეუფე პეტრე ვმეგობრობდით და ჩემთვის იყო გასაკვირი, რომ ის ჩამოვიდა უკრაინიდან და არაფერი მითხრა ამის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მამა გიორგი დაბრუნდა ჩვენს ეპარქიაში.

თუ უკრაინის დიასპორა გააფრთხილა, მეუფე პეტრეს ჩემთვისაც ხომ შეეძლო ეთქვა რაიმე. თუ მაშინ იყო მამა გიორგი საზოგადოებისთვის საშიში, როგორც ამას მეუფე პეტრე ამბობდა, დღეს რატომ შეიქმნა გმირი, ვერაფრით ვხვდები, ეს წინაუკმობა ჩემთვის გაუგებარია", - განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

მისივე თქმით, მეუფე პეტრეს განცხადებებმა შორენა თეთრუაშვილის მძლეთამძლეობაზე, პროკურატურის წისქვილზე დაასხა წყალი.

როგორც მეუფე დიმიტრიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენიაზე განაცხადა, სასამართლოზე დაკითხვის დროს იყო ერთგვარი ზეწოლა, რომ შორენა თეთრუაშვილის მიმართ შექმნილიყო "ეკლესიაში მისი მძლეთამძლეობის შთაბეჭდილება".

"სასამართლოზე დაკითხვის პერიოდში არაპირდაპირი მნიშვნელობით, იყო ერთგვარი მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ ზეწოლა იმისა, რომ შექმნილიყო ერთგვარი მოტივაცია ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის მძლეთამძლეობაზე, რომ ის გარკვეულწილად წყვეტს ეკლესიაში საკითხებს, მას შეუძლია შეაჩეროს ადამიანის წინსვლა ან საერთოდ დააბრკოლოს და სხვა, რაზეც მე მათ განვუცხადე, რომ ეს შეურაცხყოფაა ეკლესიის, ეს შეურაცხყოფაა პატრიარქის, იმიტომ, რომ ეკლესიას მართავს სინოდი საეკლესიო დებულებით "პატრიარქისა თანაი". ასეა წესდებაში და იყო შემთხვევები წმინდა სინოდის სხდომების დროს, როცა მის უწმინდესობას ჰქონდა სურვილი, რომ ვინმეს კანდიდატს ასახელებდა მღვდელმთავრად, თუმცა ეს ვერ განხორციელებულა სინოდის წინააღმდეგობის გამო",- აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დეკანოზი გიორგი მამალაძე დამნაშავედ სცნო და თავისუფლების 9 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

## მონატრება

### კახა ყველაშვილი



ჩემო გაუსაძლისო ტკივილო ,შვილო კახა, მოვიდა შენი უილბლო დაბადების დღე, რომელსაც შენ რამდენიმე წელია, ველარ ესწრები .როგორ მიყვარდა 18 სექტემბერი, ამ დღეს მეც და შენც დიდი სიხარულით ველოდით. ეხლა კი მწარეა, შვილო, ეს დღე... 6 წელი გავიდა, რაც შენ ჩემთან აღარ ხარ. შენ შემოგევლოს უბედური დედა. ჩემს თვალზე ცრემლი არ შრება, გიკვირს ალბათ, ამდენი ხანი ცოცხალი რომ ვარ... ძალიან მიყვარხარ. შენი ცოლ-შვილი კარგად არის. შენ არავის ავიწყდები, არც შენს უფროსებს, გვერდში გვიდგანან. მოვალ შენს საფლავზე, შვილო, მოგიტან ყვავილებს, აგინთებ სანთელს... მოგილოცავთ დაბადების დღეს იმქვეყნიურ სამყოფელში. იძინე მშვიდად, ჩემო შვილო.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

შენი უბედური დედა, შენი დები და ძმა, შენი ცოლ-შვილი.

# დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მიღებას 2017–2018 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე

- მედდის საქმე
- სამეანო საქმე
- ფარმაცია
- ორთოპედიული სტომატოლოგია
- სამართალმცოდნეობა
- უცხო ენა
- სკოლამდელი აღზრდა
- ბიზნესის მენეჯმენტი
- ფინანსები და ეკონომიკა
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
- ჟურნალისტიკა
- ვეტერინარია

სწავლა ფასიანია. სასწავლებლად მიიღებიან IX, X, XI და XII კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 სექტემბრიდან.

ჩარიცხვა გასაუბრებით! (ჩატარდება 12-14 სექტემბერს).

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით ¾) და პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: **ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.N40 (დედოფლისწყაროს არქივის შენობა, II სართული).**

☎ 0356 22 52 73; 599 74 73 98.



# უწყლოობის მითი დაიმსხვრა?!

პატარა შირაქის დასახლებას რომ გასცდებით და გეზს ქედებისკენ აიღებთ, თვალწინ ულამაზესი სანახები გადაგეშლებათ-თვალუწვდენელი ველი, რომელიც საქართველოს პურის ბეღელს წარმოადგენს. წელს ფერმერებმა ხორბლის უხვი მოსავალი მიიღეს და კმაყოფილები არიან. ეს ის შემთხვევაა, როცა კლიმატურმა პირობებმა მიწათმოქმედებს ხელი შეუწყო და ზარალისთვის არ „გაიმეტა“. ყველას კარგად ახსოვს ის წლები, როცა გვალვის გამო მწირი მოსავლის ანაბარა დარჩენილან ფერმერები და მომავალი წლისთვის მიწის დამუშავება-არდამუშავების დილემის წინაშეც დამდგარან... ამას ობიექტური ფაქტორი განაპირობებდა-უსახსრობის გამო კომერციული ბანკებიდან აღებული კრედიტების დაფარვის საკითხიც ხშირად გაურკვეველი რჩებოდა...

შირაქის ველზე ნაყოფიერი მიწაა, მაგრამ აქ სარწყავი სისტემის უქონლობის გამო უხვი მოსავლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა და მიწათმოქმედები მხოლოდ ამინდის კეთილგანწყობის იმედზე რჩებოდნენ.

გაზეთ „შირაქისთვის“ ცნობილი გახდა, რომ შირაქის ველზე წყლის საკმაო რესურსი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად ადგილზე ჩავედით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ პაპიაშვილთან და საკრებულოს წევრ ნიკოლოზ ხუციშვილთან ერთად. ადგილზე მისულებს კუთვნილ მიწაზე დაგვხვდა ფერმერი ზვიად გაგაძე, ადამიანი, რომელმაც წყლის საძიებო სამუშაოები საკუთარი სახსრებით ჩაატარა და დაბურღა კიდეც. მისმა ექსპერიმენტმა გაამართლა: „წყალი 100 მეტრზე დავბურღეთ. ახლა ველოდები წყლისა და ნიადაგის ანალიზის შედეგებს და იმის მიხედვით გადავწყვეტ, რა კულტურას მოვაშენებ.“-ამბობს ზვიად გაგაძე.

ფერმერის საკუთრებაში, დაახლოებით, 80 ჰექტარი მიწის ნაკვეთია. სამომავლოდ ის წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟებას გეგმავს, რომლითაც 50 ჰექტრის მორწყვას შეძლებს. მანამდე კი პრობლემა ელექტროენერგიის არქონაა. წყალსაქაჩს ის გენერატორით ამუშავებს, რაც ძალიან ძვირი უჯდება. „კარგი იქნება, თუ ელექტროენერგიის აქამდე მოყვანას შევძლებთ, ამით არა მხოლოდ ჩემი, ერთი ადამიანის, პრობლემა გადაწყდება, არამედ ბევრის. რადგან წყლის რესურსის არსებობა მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრ რამეს შეცვლის -უამრავი ადამიანი დაინტერესდება ახალი, მეტად მომგებიანი კულტურების გაშენებით. ამით კი სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, მეტად მიმზიდველი გახდება მოსახლეობისთვის და მიწასაც და სოფელსაც ბევრი დაუბრუნდება“-აცხადებს გაგაძე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფერმერს დახმარებას დაპირდნენ.

„სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა“-ფერმერის ეს სიტყვები ყველას სათქმელს ამბობს. იმედი გვაქვს, წყლის რესურსის აღმოჩენის შემდეგ მითი „უწყლო შირაქის“ შესახებ წარსულს ჩაბარდება და შირაქის ველი ახალ სიცოცხლეს შეიძენს.

ინგა შიოლაშვილი



## ულოცავენ!

### მარინა ტოკლიკიშვილს! თამაზ ოზბეთელაშვილს!

გილოცავთ ვაჟიშვილის დაქორწინებას-საბას და ოლიკოს ვუსურვებთ დიდ სიხარულს და ბედნიერებას, მალე გიორგის და ქეთის ბედნიერებაც მოგველოცოს.

ჩვენო ძვირფასებო, მთელი გულითა და სულით დაგვილოცნიხართ, უფალი გფარავდეთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

ნანა დეიდა, მუხრანი თავისი ოჯახით, შოთა ბიძია.

### ზეინალ მოდებაძეს!

ჩვენო ზეინალ, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს შენს დიდ ოჯახთან ერთად. შენ ბედნიერი მამა ხარ, რადგან ამ მნიშვნელოვან დღეს თავს დაგტრიალებენ შენი გვერდში მდგომი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. ყველას უყვარხარ-ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს. მათ შორის ჩვენს ოჯახსაც. რადგან ჩვენმა ოჯახმა უკეთ იცის შენი და შენი მეუღლის თავდაუზოგავი შრომის ფასი, ამიტომაც ხარ მისაბაძი ყველასთვის. ყველანი გეფერებით, რასაც შენ ნამდვილად იმსახურებ. უფლის მადლი და წყალობა არ მოაკლოს შენს ოჯახს.

**პატივისცემით,** ზურაბ ჩალაბაშვილი ოჯახით.

### ზეინალ მოდებაძეს

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის აქტიურ წევრს, წარმატებულ მეწარმეს, უაღრესად ერუდირებულ, კომუნიკაბელურ, თავისი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ და უკეთილშობილეს პიროვნებას, საუკეთესო ოჯახის თავკაცს, უღალატო მეგობარს, ქველმოქმედს, რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების კერძო სექტორის პირველ დამფუძნებელს - ბატონ ზეინალს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს- 70 წლის იუბილეს საუკეთესო სურვილებით.

**ულრმესი პატივისცემით**

**მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის სახელით:** ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნუნუ ცაკაშვილი, მარინა ღვინიაშვილი, ხათუნა აგლაძე.


## იყიდება!

ოროთახიანი ბინა, საერთო ფართით 51 კვ.მ. წყლით და გაზით უზრუნველყოფილი ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქ. №64 ბ.22. მეოთხე სართული. ფასი 11000 დოლარი.

☎ 595 322 193 მანანა.

იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მოპირდაპირედ.

☎ 591 80-35-13

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი ბინა ქ. დედოფლისწყაროში, თბილისის ქ. №21, პირველი სადარბაზო, მე-3 სართული. ავტოფარეხით და სარდაფით, ფასი 6500 დოლარი.

☎ 593-46-40-60 ლევანი

იყიდება სამოსახლო მიწის ნაკვეთი ქალაქ დედოფლისწყაროში, მასზე განთავსებული სათავსოებით. მისამართი: 9აპრილის ქ. N81.
ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით

☎ 577 74 26 72, იკითხეთ ნელი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 11.09 | | სამშაბათი 12.09 | | ოთხშაბათი 13.09 | | ხუთშაბათი 14.09 | | პარასკევი 15.09 | | შაბათი 16.09 | | კვირა 17.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 22 ° | 21 ° | 22 ° | 21 ° | 24 ° | 23 ° | 24 ° | 23 ° | 24 ° | 22 ° | 24 ° | 23 ° | 23 ° | 22 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.